ღვიძლის კიბო

ღვიძლის კიბო განსაკუთრებით დიდ პრობლემას ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ქმნის, სადაც, არსებული შეფასების მიხედვით, 2012 წელს მსოფლიოში დიაგნოსტირებული 782 000 ახალი შემთხვევიდან 83% გამოვლინდა. 2012 წელს მამაკაცებში გამოვლენილი 554 000 და ქალებში დიაგნოსტირებული 228 000 ახალი შემთხვევით იგი მამაკაცთა შორის მეხუთე ადგილზეა, ხოლო ქალთა შორის - მეცხრე ადგილზე. მამაკაცებში მაღალი ინციდენტობის რეგიონებს აღმოსავლეთი და სამხრეთ-აღმოსავლეთ აზია (ასაკ-სტანდარტიზებული ინციდენტობის მაჩვენებლებია 31.9 და 22.2 შესაბამისად) წარმოადგენს. საშუალო მაჩვენებლები ვლინდება სამხრეთ ევროპაში (9.5) და ჩრდილოეთ ამერიკაში (9.3), ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებლებია ჩრდილოეთ ევროპასა (4.6) და სამხრეთ-ცენტრალურ აზიაში (3.7). ქალებში მაჩვენებლები გაცილებით დაბალია, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ვლინდება აღმოსავლეთ აზიასა და აფრიკის დასავლეთში (10.2 და 8.1 შესაბამისად), ხოლო ყველაზე დაბალი - ჩრდილოეთ ევროპაში (1.9).

სურათი 1. ღვიძლის კიბოს შეფასებითი ავადობისა და სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 მოსახლეზე, 2012 GLOBOCAN



მსოფლიოში ღვიძლის კიბო ონკოლოგიური დაავადებებით გამოწვეული სიკვდილიანობის მიხედვით მეორე ადგილზეა და არსებული შეფასებებით 2012 წელს დაახლოებით 746 000 შემთხვევაში (კიბოთი გამოწეული საერთო სიკვდილიანობის 9.1%) წარმოადგენდა სიკვდილის მიზეზს. მონგოლეთში ღვიძლის კიბოთი გამოწვეული სიკვდილიანობა ძალზე მაღალია - 161 ყოველ 100 000-ზე. ღვიძლის კიბოს გადარჩენის მაჩვენებელი დაბალია, - სიკვდილიანობისა და ინციდენტობის მაჩვენებელთა თანაფარდობა 0.95-ს შეადგენს.

სურათი 2. ღვიძლის კიბოს შეფასებითი ასაკ-სტანდარტიზებული ავადობის მაჩვენებელი 100 000 მამაკაცზე, 2012 GLOBOCAN



სურათი 3. ღვიძლის კიბოს ავადობის ტენდენცია შერჩეულ ქვეყნებში: ასაკ–სტანდარტიზებული მაჩვენებელი 100 000 კაცზე


International Agency for Research on Cancer
World Health
50
40
30
20
10
0
1975 1980 1985 1990 1995 2000 2005 2010
China*
India*
Japan*
Philippines*
Singapore


International Agency for Research on Cancer
World Health
50
40
30
20
10
0
1975 1980 1985 1990 1995 2000 2005 2010
Denmark
Finland
France*
Slovakia
Spain*
England


International Agency for Research on Cancer
World Health
50
40
30
20
10
0
1975 1980 1985 1990 1995 2000 2005 2010
Australia
Canada
Colombia*
Costa Rica
New Zealand
USA*

სურათი 4. ღვიძლის კიბოს შეფასებითი ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 მამაკაცზე, 2012 GLOBOCAN



სურათი 5. ღვიძლის კიბოს ასაკ-სტანდარტიზებული შეფასებითი ავადობის მაჩვენებელი 100 000 ქალზე, 2012 GLOBOCAN



სურათი 6. ღვიძლის კიბოს ავადობის ტენდენცია შერჩეულ ქვეყნებში: ასაკ–სტანდარტიზებული მაჩვენებელი 100 000 ქალზე



სურათი 7. ღვიძლის კიბოს შეფასებითი ასაკ-სტანდარტიზებული სიკვდილიანობის მაჩვენებელი 100 000 ქალზე, 2012 GLOBOCAN